**ბექა კაციტაძე**
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
beka.katsitadze@outlook.com

# ერთწლიანი ციკლი (2004 წ.) ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიაში: წინაპირობები, საომარი მოქმედებები და შედეგები[1]

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ოსები, რუსეთის ფედერაცია, კონფლიქტი
**Keywords:** Georgia, Ossetians, Russian Federation, conflict

ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობები მრავალ საუკუნეს ითვლის, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა ფართომასშტაბიანი ქართულ-ოსური (1991-1992 წწ.) და ქართულ-აფხაზური (1992-1993 წწ.) ეთნო-ტერიტორიული სამხედრო კონფლიქტების დაწყებით აღინიშნა. თუმცა, წინამდებარე სტატიის ფოკუსი სამეცნიერო კუთხით ნაკლებად შესწავლილ საკითხს, კერძოდ, 2004 წლის ქართულ-ოსურ შეიარაღებულ დაპირისპირებას ეხება, რომელსაც ათეული ადამიანის სიცოცხლეც კი ემსხვერპლა. სტატიაში შესწავლილია ის წინაპირობები და შედეგები, რომელიც თან ახლდა ხსენებულ მოვლენას. ასევე, განხილულია იმდროინდელ ხელისუფლებაში კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლო სცენარები. ამავდროულად, ფაქტების დოკუმენტირებითა და ინტერვიუებიდან ამონარიდების მეშვეობით წარმოდგენილია 2004 წელს არსებული ვითარების შეძლებისდაგვარად ზუსტი რეკონსტრუქცია და ნაშრომის დასასრულს, წარმოდგენილია მათი ანალიზი და ერთგვარი შეჯამება.[2]

---

1 წინამდებარე ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხულ იქნა „უახლესი ისტორიის ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე: „რეგიონული კონფლიქტები კავკასიაში: გამოწვევები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების გზაზე“, 2023 წლის 1-ელ ოქტომბერს.

2 საქართველოში კონფლიქტების კუთხით არსებული მდგომარეობის, კონფლიქტის შესწავლისა და ანალიზის ცოდნა-უნარების განვითარების, ასევე საარქივო მასალებთან მუშაობის გამოცდილების გაძლიერების მიზნით, „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტმა“ (ISNC), შექმნა ელექტრონული რესურსი – „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი“ (https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-ti-isnc--746R3FMiftYruKBSnkEUAodd), რომელიც აერთიანებს ქართულ-ოსური კონფლიქტის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის – XX საუკუნის 80-იანი წლებიდან 2008 წლის 7 აგვისტომდე პერიოდს, კერძოდ, სხვადასხვა რიგის დოკუმენტსა და მნიშვნელოვან საგაზეთო პუბლიკაციას. ეს წყაროები ვებგვერდზე ქრონოლოგიურად არის დალაგებული და, შესაბამისად შესწავლილია წინამდებარე კვლევის ჩასატარებლად.

2004 წლის 4 იანვარს საქართველოში დანიშნულ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი ეწვია ქალაქ ცხინვალს, სადაც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდებოდა და შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ვერ ახერხებდა. თუმცა, სააკაშვილის მოკლევადიანი ვიზიტით უკმაყოფილო დარჩა ე. წ. სამხრეთ ოსეთის დეფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი: „მისი ეს ნაბიჯი სიმბოლური იყო და ხელი არ შეგვიშლია. მომავალში კი ასე თვითნებურად ცხინვალის რეგიონში ჩამოსვლა ჩვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ მოხდება“ (კოკოითი სააკაშვილის... 2004). 2004 წლის 11 თებერვალს კი დედაქალაქ მოსკოვში საქართველოს ახალარჩეულ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შორის გაიმართა შეხვედრების სერია, რა დროსაც მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს ტერორიზმისგან საზღვრის ორმხრივად დაცვისა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. მონაწილეებმა ასევე მზაობა გამოთქვეს 2003 წლის მარტში შემუშავებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისთვის საჭირო „სოჭის შეთანხმების“ რატიფიცირების თაობაზე. „დარწმუნებული ვარ, დოკუმენტი შემოდგომისთვის მზად იქნება და იმედი მაქვს პუტინი ჩამოვა თბილისში მის ხელმოსაწერად“, – განაცხადა სააკაშვილმა (სეფაშვილი 2004), თუმცა ოსური და აფხაზური კონფლიქტების დარეგულირების, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე რაიმე არსებითი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის 2 ნოემბრის საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი ასლან აბაშიძე საქართველოს მოქმედ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს უჭერდა მხარს. აბაშიძემ 2003 წლის 24 ნოემბერს, ანუ „ვარდების რევოლუციის“ მომდევნო დღეს გამოთქვა მოსაზრება, რომ „დაირღვა კონსტიტუციური წყობა“ და აჭარაში 30 დღით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. უკვე აქედან მწვავდება ურთიერთობა სააკაშვილსა და აბაშიძეს შორის, რამაც კულმინაციას 2004 წლის აპრილ-მაისში მიაღწია (აჭარის კრიზისი... 2004). 2004 წლის 6 მაისს ასლან აბაშიძე თვითმფრინავით მოსკოვში გაიქცა, ხოლო სააკაშვილმა ხალხს აჭარის განთავისუფლება და „მეორე უსისხლო რევოლუცია“ მიულოცა (სეფაშვილი 2004). მიუხედავად იმისა, რომ აბაშიძის მიერ აჭარის დატოვება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის მიერ იყო ორგანიზებული და სააკაშვილმა პუტინს ამისთვის მადლობა გადაუხადა, რუსეთის პრეზიდენტმა მას საკმაოდ უხეშად უპასუხა და მსგავსი სცენარის განვითარება კონფლიქტურ ტერიტორიებზე დაუშვებლად მიიჩნია: „ახლა დაიმახსოვრეთ – აჭარაში არ ჩავრეულვართ, მაგრამ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ჩვენგან საჩუქრებს არ უნდა ელოდოთ“ (Как готовилась... 2009).

2004 წლის 23 მაისს ცხინვალის რეგიონში ჩატარდა რიგით მეოთხე მოწვევის ე. წ. საპარლამენტო არჩევნები. 29 საპარლამენტო მანდატისთვის იბრძოდა 4 პოლიტიკური სუბიექტი: „სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტია“, სოციალისტური პარტია „ფიდიბასტა“, პოლიტიკური პარტია „ერთობა“ და „სახალხო პარტია“. მონაწილე პარტიებს შორის მალევე დაწინაურდა „ერთობა“, რომლის კანდიდატი, ზნაურ გასიევი ე. წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე გახდა (Дата в новейшей... 2018). ოსური არჩევნებიდან 3 დღეში, კერძოდ, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზებსა და ოსებს თავიანთ მშობლიურ ენებზე მიმართა, სადაც აღნიშნა, რომ მზად იყო განეხილა „ყველანაირი სახელმწიფო მოდელი“ ტერიტორიული მთლიანობის მიღწევის შემთხვევაში (სეფაშვილი 2004).

პარალელურად, რუსეთი განაგრძობდა ორმაგი თამაშით მოქმედებას და აშკარად ჩანდა, რომ მისი ნაბიჯები აცდენილი იყო საქართველო-რუსეთის ოფიციალურ ორმხრივ პოლიტიკას. ამის გამოხატულება იყო 2004 წლის 2-6 ივნისის შუალედში ოსური უკანონო შეირაღებული ძალებისთვის სამხედრო ტექნიკის გადაცემა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრად რუსეთის არმიის პოლკოვნიკის, ანატოლი ბარანკევიჩის დანიშვნა, რომელსაც საბრძოლო გამოცდილება ავღანეთსა და ჩეჩნეთის ომში ჰქონდა მიღებული. 7 ივნისს, ამას მყისიერად მოჰყვა ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკანონმდებლო ორგანოს მიერ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი მიმართვა, სადაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკა დამოუკიდებლობის აღიარებასა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის მიღმა მცხოვრები „რუსი მოქალაქეების“ დაცვას მოითხოვდა: „რუსეთის მოქალაქეები შეადგენენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობას. რუსეთი ვალდებულია დაიცვას მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, პატივი და ღირსება ყველა შესაძლო საშუალებით, როგორც ამას აკეთებენ შეერთებული შტატები და სხვა დასავლური ქვეყნები“, – რუსეთის სათათბიროს დსთ-ს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინი.

ქრონოლოგიურად, 2004 წლის 11 ივნისს, კონფლიქტის ზონის გამყოფ ხაზთან არსებულ ერგნეთის ბაზრობის ტერიტორიაზე დაფიქსირდა მორიგი აქტივობა: ბაზრობა ოსებსა და ქართველებს შორის არაფორმალური კომუნიკაციის შენარჩუნების კარგი საშუალება იყო, თუმცა, ამავდროულად, რუსეთიდან კონტრაბანდული საქონლის შემოტანის ინსტრუმენტადაც გამოიყენებოდა. რუსეთიდან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე შემოჰქონდათ საკვები და ნავთობპროდუქტები, სიგარეტი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფქვილი და ხორბალი. ერგნეთის ბაზრობის უკანონო ტვირთბრუნვით საქართველოს ყოველწლიურად 120 მილიონი აშშ დოლარის ზარალი ადგებოდა. ერგნეთის ბაზრობის დახურვის

შემდეგ, ყაზბეგის რეგიონული საბაჟოდან მიღებული (რომელსაც ექვემდებარებოდა ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიები) შემოსავლები საქართველოს ბიუჯეტში 6 თვეში 900 000 ლარიდან 4 მილიონ 650 ათას ლარამდე, ანუ დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების გატარებას სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა წინააღმდეგობის გაწევითა და უკმაყოფილებით შეეგება (ერგნეთის ბაზრობის... 2004).

მოვლენები სულ უფრო მეტად იძაბება 2004 წლის ზაფხულის პირველი თვის ბოლოს, კერძოდ, როცა 22 ივნისს ოსების სამხედრო წვრთნების დროს მსუბუქად იჭრება სოფელ არგვეთის მცხოვრები საქართველოს მოქალაქე თამარ ღამბაშიძე. საქართველოს მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 48 საათის ვადა მისცა ცხინვალის დე-ფაქტო ძალოვან უწყებებს დამნაშავის დასაპატიმრებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამორიცხა, რომ რეგიონში სპეცოპერაციის დაწყებას თავად უხელმძღვანელებდა (ცხინვალის რეგიონში... 2004). ხოლო 26 ივნისს, თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში გამართულ კონფერენციაზე, სახელწოდებით „ატლანტიკური ალიანსი ახალ გზაჯვარედინზე“ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოდის და დანარჩენ საკითხებთან ერთად, არაკონტროლირებადი რეგიონის პრობლემებსაც ეხება: „სამხრეთ ოსეთში ვითარება აჭარის მსგავსად წარიმართება და ამას თავად ხალხი უმოკლეს პერიოდში გააკეთებს. მოსახლეობის უმრავლესობა იქ შიმშილის ზღვარზეა, მხოლოდ ერთი ნაწილი იღებდა სარგებელს კონტრაბანდული ტვირთის შემოდინებით, რაც უკვე აღიკვეთა“ (სააკაშვილი: ცხინვალში... 2004).

მეორე მხრივ, ივნისის თვეშივე რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა პაკეტი ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმისთვის და დაიწყო ჯავა-ცხინვალის მიმართულებით სამხედრო ბაზების მშენებლობა. ვლადიკავკაზის სამხედრო სასწავლებელში კი რუსებმა გახსნეს განყოფილება ოსი კურსანტების გადასამზადებლად, ისევე როგორც მყიფედ ორგანიზებული და ცუდად შეიარაღებული 7000 კაცისგან შემდგარი საჯარისო ფორმირებების რეგულარულ ნაწილებად გარდაქმნის მიზნით თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში გააგზავნეს ოფიცრები.

ვითარების განმუხტვა ვერც ივლისის პირველ რიცხვებში მოხერხდა. საქართველოს შინაგანი ჯარების მიერ რუსი სამშვიდობოების იარაღით დატვირთული ავტოკოლონის დაპატიმრებას, ოსურმა ძალებმა 7-8 ივლისის ღამეს 50-მდე ქართველი სამშვიდობოსა და რამდენიმე ქართული სოფლის დაკავებით უპასუხეს. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, გოგა ხაინდრავამ 8 ივლისს კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციას „შემაშფოთებელი“ უწოდა, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ედუარდ კოკოითი „კონფლიქტის პროვოცირებაში“ დაადანაშაულა (სამხრეთ ოსეთის... 2004). 10 ივლისის ღა-

მეს იურისდიქციის მიღმა დარჩენილ სოფელ ერედვის მახლობლად განლაგებულ საგუშაგოზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 4 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. მთლიანობაში კი ბოლო სამი დღის განმავლობაში ინტენსიური სროლის შედეგად 7 ქართველი სამხედრო პირი დაზარალდა. თავის მხრივ, ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ირინა გაგლოევამ რუსულ საინფორმაციო საგენტო „ინტერფაქსს“ განუცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთის მხარის რამდენიმე წარმომადგენელი დაიჭრა სოფელ ფრიზთან განლაგებულ საგუშაგოზე ქართული შეიარაღებული ჯგუფის თავდასხმის შედეგად“ (Россия должна... 2004), რასაც ქართული მხარე კატეგორიულად უარყოფდა. ივლისის სამხედრო ქრონიკას გამოეხმაურა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიებაზე განაცხადა, რომ „საქართველო ძალიან მალე აღადგენს კონტროლს ცხინვალის რეგიონში და ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს“. გარდა ამისა, სააკაშვილის თქმით, ცენტრალური ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს საქართველოს ჩათრევა „ფართომასშტაბიან კონფლიქტში“. ამავენაირად, 9 ივლისს შედგა სატელეფონო საუბრები, ერთი მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, კოლინ პაუელსა და სააკაშვილს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, სააკაშვილსა და ვლადიმერ პუტინს შორის, რა დროსაც დაფიქსირდა კრიზისის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობა (სააკაშვილი ცხინვალზე... 2004).

ყოველივე ამას თან ახლდა ცხინვალის ხელისუფლების მიერ ე. წ. სახალხო რაზმების მობილიზება, გზების გადაკეტვა, „ევროსაბჭოს“ მიერ დაფინანსებული პროგრამით გორი-ცხინვალის სარკინიგზო ხაზის ფარგლებში დაგებული ლიანდაგების აყრა. უკიდურესად დაძაბული მდგომარეობის განმუხტვის მცდელობას თითქოს წარმოადგენდა მოლაპარაკებები, რომელიც რუსული მხარის ინიციატივით 2004 წლის 14-15 ივლისს გაიმართა მოსკოვში. კერძოდ, ხელი მოეწერა „შერეული საკონტროლო კომისიის“ („შსკ“) №33 ოქმს. ამ დოკუმენტში ქართულ-ოსურ ეთნო-ტერიტორიულ პრობლემას ეწოდა „ქართულ-ოსური კონფლიქტი“. აღსანიშნავია, რომ ოქმი №33 საჯაროდ დღემდე არ გამოქვეყნებულა.

თუმცა, საომარი მდგომარეობის ესკალაცია ჯერ კიდევ წინ იყო: ქართული სამშვიდობო ბატალიონის როტაცია და შეყვანილი ძალების განლაგება გარკვეულ პოზიციებზე შეთანხმებული პროცედურების უხეში დარღვევით განხორციელდა, რასაც მოჰყვა ინტენსიური ურთიერთსროლები და აგვისტოს შეიარაღებული დაპირისპირება. ჯამში, ივლისი-აგვისტოს ესკალაციის შედეგად დაიღუპა 16 ქართველი სამხედრო მოსამსახურე. მსხვერპლი იყო ორივე მხარის მშვიდობიან მოსახლეობაშიც. კოკოითის რეჟიმის წარმომადგენლებმა კი დანაკარგების რაოდენობის დაკონკრეტებაზე უარი განაცხადეს.

აღსანიშნავია, რომ „შერეული საკონტროლო კომისიის“ 2004 წლის 13-14 აგვისტოს გადაწყვეტილებები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მათ შორის, თავდაცვის (გიორგი ბარამიძე) და შინაგან საქმეთა (ირაკლი ოქრუაშვილი) მინისტრების მონაწილეობით, არ განხორციელდა. 19 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე მზად იყო ქართულ-რუსულ-ოსური სამშვიდობო ძალებისთვის გადაეცა ის სტრატეგიული სიმაღლეები, რომელიც შინაგანი ჯარებისა და უშიშროების სამინისტროს ნაწილებმა იმ დილით დაიკავეს. თუმცა, 500 სამხედრო პირი, ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამშვიდობო კვოტის ფარგლებში მაინც დარჩებოდა ქართულ სოფლებში. სააკაშვილი „მშვიდობისთვის ბოლო შანსს“ აძლევდა ოსებს და პირობას დებდა, რომ ყველა დანარჩენი ადგილიდან გამოიყვანდა სამხედროებს და გორის ტერიტორიაზე განალაგებდა: „თუ დაიწყო ახალი კონფლიქტი, ჩვენ დამარცხების უფლება, როგორც ერს, აღარ გვექნება, რადგანაც, შესაძლოა, გავნადგურდეთ და დავიშალოთ, როგორც ქვეყანა, და ვერცერთი ცალ-ცალკე ვეღარ გავიმარჯვებთ“ (სააკაშვილი ოსურ... 2004).

2004 წლის 21 სექტემბერს, ნიუ-იორკში გამართულ „გაეროს გენერალური ასამბლეის“ 59-ე სესიაზე საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა ოსურ-აფხაზური კონფლიქტების „ეტაპობრივი“ მოგვარების 3-ფაზიანი გეგმა: „პირველი ნაბიჯი ითვალისწინებს ნდობის აღდგენის ღონისძიებათა გატარებას, რაც დააკავშირებს არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთმანეთთან, ასევე სტუდენტებს სტუდენტებთან, ჟურნალისტებს ჟურნალისტებთან, ჯანდაცვის მუშაკებს თავის კოლეგებთან, სპორტსმენებს სპორტსმენებთან, დედებს დედებთან, ხოლო ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება მატერიალური კეთილდღეობის ზრდას შეუწყობს ხელს. მეორე ნაბიჯი გულისხმობს სპეციალურ ღონისძიებებს, მათ შორის, ომის ინსტრუმენტების გამორიცხვას და დემილიტარიზაციას, ასევე შიშის და კრიმინალური ატმოსფეროს გაქრობას და ეს ყველაფერი ნდობის აღდგენასთან ერთად უნდა განხორციელდეს. ამასთანავე, საჭიროა სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია და რეალური საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატის განხორციელება. მესამე ნაბიჯი კი ითვალისწინებს კონფლიქტის მოგვარებას გლობალური გარანტიებით, რაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს ყველაზე ფართო ავტონომიების შექმნამდე. ამაში იგულისხმება კულტურისა და ენის დაცვა, თვითმმართველობა, ფისკალური კონტროლი და ცენტრალურ ხელისუფლებაში ამ რეგიონების მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა. უკანონო და უკონტროლო ზონები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ევროპისთვის. საერთაშორისო საზოგადოება ვეღარ დაუშვებს უსაფრთხოების რისკების იგნორირებას, რომლებიც წარმოიშვება ამ ‘შავი ლაქებიდან’ და კონტრაბანდისტთა თავშესაფრებიდან“ (სააკაშვილი კონფლიქტების... 2004).

„გაეროს“ ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტის მოწოდებების მიუხედავად, ინციდენტები, ექსცესები და პროვოკაციული ქმედებები მაინც არ შეწყვეტილა კონფლიქტის ზონაში. კერძოდ, ქართული მედიის ინფორმაციით, 2004 წლის 9 ოქტომბერს ოსების საბოტაჟურმა ჯგუფმა ააფეთქა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „ქართლი-2“ ქალაქ გორთან ახლოს, ხოლო 10 ოქტომბერს იგივე ბედი ეწია დასავლეთ საქართველოში მდებარე ელექტროგადამცემი ხაზების ორ ნაგებობას. ამის შედეგად, დედაქალაქ თბილისს გარკვეული პერიოდი შეეზღუდა დენის მიწოდება. უკვე 12 ოქტომბერს, სოფელ კირბალის მიმდებარედ მოხდა შეტაკებები ქართულ სპეციალურ დანაყოფებსა და ოსურ „სამშვიდობოებს“ შორის. ქართული ძალების მხრიდან ამ სამხედრო ოპერაციის მიზანი იყო მაღალი ძაბვის ხაზების განადგურებაში ეჭვმიტანილი პირების განეიტრალება. შეტაკებების შედეგად დაიღუპა ორი და დაიჭრა ოსი „სამშვიდობო“ (Saakashvili Says... 2004).

2004 წლის 5 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის ქალაქ სოჭში შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და დე-ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის შეხვედრა. მოლაპარაკებებს ასევე ესწრებოდნენ რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის ავტონომიური რესპუბლიკის, „შერეული საკონტროლო კომისიის“ და საქართველოში „ეუთოს“ მისიის წარმომადგენელი პირები, ხოლო ეკონომიკური საკითხების განსახილველად მოწვეული იყო „ევროკომისიის“ პერსონალი. მხარეებმა განაცხადეს, რომ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში სამშვიდობო პროცესის დარეგულირება სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და გამოთქვეს ღრმა მწუხარება დაღუპულთა გამო, რომელთა შორის მშვიდობიანი მოქალაქეებიც ირიცხებოდნენ. უფრო კონკრეტულად, მოლაპარაკებების მონაწილეები შეთანხმდნენ: 1) ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული პირობის მკაცრად აღსრულებაზე; 2) კონფლიქტის ზონის ეტაპობრივ დემილიტარიზაციაზე, რომლის ფარგლებშიც ამავე წლის 20 ნოემბრამდე აღნიშნული ტერიტორიიდან უნდა მომხდარიყო ყველა შეიარაღებული ფორმირების გაყვანა, „მშვიდობისმყოფელებისა“ და უფლებადამცველი ორგანოების გარდა; 3) იმავე ვადაში „შსკ“-ის გადაწყვეტილებით მილიციის/პოლიციის გარკვეული რაოდენობით წინასწარგანსაზღვრული დისლოკაციის ადგილზე განთავსების შესახებ, რათა გაძლიერებულიყო წესრიგის დაცვა; 4) ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალის უსაფრთხოებაზე, იმისთვის, რომ თავისუფლად მომხდარიყო ადამიანებისა და ტვირთის მიმოსვლა; 5) საერთო ინტერესის მქონე ეკონომიკური პროექტების განხილვაზე; 6) „ეუთოს“ მხრიდან კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ და „ევროკავშირის“ წვლილზე რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის საქმეში; და, რაც მთავარია, 7) რუსეთის ფედერაციის მნიშვნელოვან როლზე ქართულ-ოსური კონფლიქტის სწრაფი და მშვიდობიანი დარეგულირების საკითხში (Заявление по итогам... 2004).

მოლაპარაკებათა სერიების მიუხედავად, სააკაშვილი და კოკოითი მაინც წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ: „ჩვენ აბსოლუტურად საწინააღმდეგო პოზიციები გვაქვს სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით. თუმცა, ამ საკითხს საერთოდ არ შევხებივართ შეხვედრის დროს. აჭარის სცენარმა უკვე ვერ გაამართლა სამხრეთ ოსეთში“ (ედუარდ კოკოითი ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ). „მე არც მქონია ილუზიები ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითს შორის გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ერთ ნაბიჯსაც არ დგამს მოსკოვთან კონსულტაციების გარეშე“ (მიხეილ სააკაშვილი) (ჟვანია და კოკოითი... 2004).

2004 წლის 19-20 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ვლადიკავკაზში გაიმართა „შერეული საკონტროლო კომისიის“ მორიგი სხდომა, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ ჩრდილოეთ ოსეთის, იგივე ალანიის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრ ზასოხოვი და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გოგა ხაინდრავა. სხდომის შედეგად შემუშავდა ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბების ინიციატივა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა ჩრდილო ოსეთის ალაგირის რაიონს, ცხინვალის რეგიონს, გორის რაიონს და ხელს შეუწყობდა დამაკავშირებელი საავტომობილო გზებისა და საქართველოს საზღვაო პორტების გამოყენების ეფექტურობის ზრდას.

ხოლო ამავე წლის 17 დეკემბერს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს „ფედერალურ მოწყობას“ სთავაზობდა, სადაც სუბიექტებს მიენიჭებოდათ „ყველაზე ფართო სტატუსი“. სააკაშვილი გამოთქვამდა მზაობას, ამ პროცესში ჩაერთო აფხაზური და ოსური არასამთავრობო ორგანიზაციები და „თუნდაც ყველაზე პატარა პოლიტიკური პარტიები“. სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მან მთავრობას დაავალა აფხაზური და ოსური კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო გეგმის წარმოდგენა, რომელიც 2005 წლის თებერვლისთვის იქნებოდა მზად (თბილისი აფხაზეთისა... 2004).

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის მიერ კონფლიქტების მოგვარების შესახებ წინადადების წარდგენიდან მცირე ხანში, კერძოდ, 23 დეკემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პირველი მინიშნება გააკეთა ე.წ. კოსოვოსა და ე. წ. აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთს შორის შესაძლო ურთიერთკავშირზე („რატომ უნდა მოვიქცეთ ისე, თითქოს ვერ ვამჩნევთ, თუ რა ხდება მსოფლიოსა და ევროპაში?“), რასაც, მაგალითად, აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა სტანისლავ ლაკობამ „დიდი წინსვლა“ უწოდა (პუტინის განცხადებამ... 2004).

შეჯამებისა და დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ 2004 წლის დასაწყისიდან 2005 წლამდე პერიოდის განმავლობაში, ქართველებს, ოსე-

ბსა და რუსებს შორის გაიმართა უამრავი შეხვედრა და მოლაპარაკებათა რაუნდი, რაც ხშირ შემთხვევაში აცდენილი იყო არაოფიციალურ, კულუარულ პოლიტიკას და მთელი რიგი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. კერძოდ, ნებისმიერი შეხვედრა მონაწილეთა მხრიდან სამშვიდობო მოწოდებებით წარიმართებოდა, თუმცა, პარალელურად, რუსეთი არ ერიდებოდა, მაგალითად, ე. წ. სამხრეთ ოსეთისთვის შეიარაღების გადაცემას და მასთან სამხედრო თანამშრომლობის განვითარებას. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტი რუსეთის სათათბიროს დამოუკიდებლობის აღიარებისთვისაც მიმართავდა თხოვნით. ამავდროულად, 2004 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით გაზაფხულის შემდგომ ხანებში, „აჭარის სცენარი“ აქტიური განხილვის საგანი იყო და მხარეების პირველი პირები მას თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ: მიხეილ სააკაშვილი მზად იყო ოსურ კონფლიქტსაც აჭარის მსგავსად გამკლავებოდა, ედუარდ კოკოითი გამორიცხავდა მოვლენების ამგვარად განვითარებას ცხინვალის რეგიონში, ხოლო ვლადიმირ პუტინი ამბობდა, რომ ქართული მხარე აჭარის მსგავსად ცხინვალში „საჩუქრებს“ ვერ მიიღებდა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოსებსა და აფხაზებს „ყველაზე ფართო სტატუსსა“ და „ყველანაირ სახელმწიფო მოდელს“ სთავაზობდა, თუმცა მათი მხრიდან აშკარა იყო უარი და კონფლიქტის მოგვარების გზების უგულებელყოფა, რამაც, საბოლოო ჯამში, 2004 წლის ივლისი-აგვისტოს შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც მიიყვანა საქმე. ცხინვალის რეგიონში სამხედრო აქტივობა შედარებით შენელდა მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, თუმცა ამან ვერ უზრუნველყო 2008 წლის „აგვისტოს ომის“ თავიდან აცილება. 2010-იანი და 2020-იანი წლების დასაწყისში რუსეთის მცდელობა საერთაშორისო თანამეგობრობა დაეყოლიებინა ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებაზე, წარუმატებელი გამოდგა და საქართველო აგრძელებს არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით მუშაობას. თუმცა, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე კვლავ მიმდინარეობს ოსურ-რუსული ძალების მხრიდან მცოცავი ოკუპაცია და მცირე ზომის კონსტრუქციებით საზღვრების უკანონოდ გავლება, რასაც თან სდევს „საზღვრის დამრღვევი“ საქართველოს მოქალაქეების დაპატიმრება და გატაცება.

**გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:**


- **აჭარის კრიზისი... 2004:** აჭარის კრიზისი – მოვლენათა ქრონოლოგია, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=6700?id=6700 (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **ერგნეთის ბაზრობის... 2004:** ერგნეთის ბაზრობის დახურვით საქართველო საბაჟო შემოსავლებს ზრდის, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=7535 (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);

- **კოკოითი სააკაშვილის... 2004:** კოკოითი სააკაშვილის ცხინვალში ვიზიტს აპროტესტებს, 2004. ხელმისაწვდომია https://old.civil.ge/geo/article.php?id=5745&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **პუტინის განცხადებამ... 2004:** პუტინის განცხადებამ ცხინვალსა და სოხუმს სტიმული მისცა, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=8442&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **ჟვანია და კოკოითი... 2004:** ჟვანია და კოკოითი დემილიტარიზაციაზე შეთანხმდნენ, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=8058&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სააკაშვილი კონფლიქტების... 2004:** სააკაშვილი კონფლიქტების „ეტაპობრივი" მოგვარების გეგმით გამოდის, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=7674&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სააკაშვილი ოსურ... 2004:** სააკაშვილი ოსურ მხარეს ახალ წინადადებას სთავაზობს, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=7459&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სააკაშვილი ცხინვალზე... 2004:** სააკაშვილი ცხინვალზე თბილისის კონტროლის აღდგენის პირობას დებს, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=7175&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სააკაშვილი: ცხინვალში... 2004:** სააკაშვილი: ცხინვალში ვითარება აჭარის მსგავსად განვითარდება, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=7056&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სამხრეთ ოსეთის... 2004:** სამხრეთ ოსეთის მხარე ქართველ სამშვიდობოებს აპატიმრებს და ქართულ სოფლებს იკავებს, 2004, ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=7138&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სეფაშვილი 2004:** სეფაშვილი გიორგი. აბაშიძე გაიქცა – „ვარდების რევოლუცია" დასრულდა, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=6711 (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სეფაშვილი 2004:** სეფაშვილი გიორგი, მოსკოვსა და თბილისს შორის მეგობრული რიტორიკა მატულობს, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=6005&search= (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **სეფაშვილი 2004:** სეფაშვილი გიორგი, ძალის დემონსტრირებასთან ერთად სააკაშვილი მშვიდობაზე საუბრობს, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=6711 (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **ცხინვალის რეგიონში... 2004:** ცხინვალის რეგიონში ადგილობრივი ქართველი მოსახლე დაჭრეს, 2004. ხელმისაწვდომია: https://old.civil.ge/geo/article.php?id=7019 (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **Заявление по итогам... 2004:** Заявление по итогам встречи Э.Д. Кокойты и З.В. Жвания, 2004. доступен https://archive.mid.ru/foreign_policy/rso/osce/-/asset_publisher/bzhxR3zkq2H5/content/id/456342 (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **Как готовилась... 2009:** Как готовилась война: Исследование Андрея Илларионова о том, что предшествовало августовским событиям 2008 года, 2009. ხელმისაწვდომია: https://novayagazeta.ru/articles/2009/06/24/42372-kak-gotovilas-voyna (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **Россия должна... 2004:** Россия должна использовать любые средства для защиты со-

отечественников в Грузии, утверждает высокопоставленный парламентарий, 2004, Доступен “Интерфакс-АВН” (Агентство военных новостей), (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);

- **Дата в новейшей... 2018:** Дата в новейшей истории РЮО: 9 декабря День югоосетинского парламентаризма, 2018. ხელმისაწვდომია: https://cominf.org/node/1166519823?fbclid=IwAR1ItxmCmI3HN6Gwgo_tSdPZhlrFR1B55d4CFZlbJdvhiueJqoY_-mMccOc (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024);
- **Saakashvili Says... 2004:** Saakashvili Says Energy ‘Saboteurs Destroyed’, 2004, https://old.civil.ge/eng/article.php?id=8129&search=october%202004%20saakashvili?id=8129&search=october%202004%20saakashvili (ბოლოს დამოწმებულია 17.05.2024).

**Beka Katsitadze**
Master of International Relations
Invited Lecturer, Ilia State University
beka.katsitadze@outlook.com

# ONE-YEAR CYCLE (2004) IN THE HISTORY OF GEORGIAN-OSSETIAN CONFLICT: PREREQUISITIES, HOSTILITIES AND CONSEQUENCIES

(SUMMARY)

The given work contains a detailed description of the one year length cycle in the history of Georgian-Ossetian conflict. Particularly, the reasons and results, as well as the failed mechanisms to the conflict resolution of small-scaled hostilities between Georgians and Ossetians. The twelve month length cycle of 2004 year is divided into three parts: the general presidential elections of Georgia in January to Georgian-Ossetian military activities itself in July-August and also the aftermath of the war between the belligerents.

1) As it turns out from the work, what the main candidate and the future president of Georgia did in the first place was a visit to Tskhinvali and Russian Federation in January-February of 2004 year. Nonetheless, Adjarian “Bloodless revolution” in April-May frustrated the conflict resolution. For instance, de-facto president of South Ossetia, as well as the representatives of Russia declared in the following months that they would not tolerate “Adjarian case” in Tskhinvali. The research paper shows that Russians gave an armament to Ossetian military forces in June, whereas the abolition of Ergneti market triggered an unsatisfied attitudes in Ossetian population.

2) Another phase of the one year length cycle is designated as the direct reasons of conflict escalation and the hostilities between Georgian-Ossetian forces in July-August, which entirely caused the death of 16 Georgian military personal and the loss in the non-military citizens.

3) President Mikheil Saakashvili appeared on the United Nations' conference in September and considered the three-phase plan of conflict resolution, but this was not enough to cease the clashes between Georgian Special Forces and Ossetian subversive groups in October. Several meetings were held in Sochi and Vladikavkaz (parts of Russian Federation) in November, whereas President Mikheil Saakashvili suggested "Federal arrangement" to the self-proclaimed republics and commissioned the government to elaborate a peace plan by February of 2005 year.

The research work is held by the method of documenting the events accurately and it demonstrates that the military activities noticeably hardened an attempt of the restoration of Georgian territorial integrity and paved the way to the full-scale Russo-Georgian August War in 2008.